

შემოქმედებითი და ბიზნეს იდეების მქონე სტუდენტთა საყურადღებოდ

14.11.2016



თუ გაქვთ ბიზნეს იდეა ან დაინტერესებული ხართ ინოვაციებით, შემოქმედებითობითა და მეწარმეობით, დარეგისტრირდით მულტიდისციპლინურ სემინარზე **TeamLab Georgia**, რომლის ორგანიზატორებიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა არიან.

TeamLab Georgia ერთდღიანი სემინარია, რომლის მიზანია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა თანამშრომლობა და ერთობლივი შემოქმედებითი პროდუქტის/მომსახურების შექმნა. სემინარში მონაწილე ჯგუფები ერთმანეთს გაუზიარებენ იდეებს და მენტორებთან ერთად განიხილავენ და შეაფასებენ მათ.

TeamLab Georgia სტუდენტებს დაეხმარება შემოქმედებითი ბიზნესიდეების დახვეწაში, საჭირო ცოდნისა და გუნდური მუშაობის გამოცდილების მიღებაში.

სემინარში მონაწილე საუკეთესო გუნდი 2017 წლის აპრილ-მაისში სასწავლო ტურით გაემგზავრება ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში. სემინარის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი.

სემინარის ფარგლებში, იდეის წარდგენის შემდეგ, სხვადასხვა პროფილის სტუდენტები გაერთიანდებიან შერჩეული იდეების გარშემო და შექმნიან სამუშაო გუნდებს. აუცილებელია გარკვეული ცოდნა შემდეგ სფეროებში: *ხელოვნება, დიზაინი, შემოქმედებითი ქვესექტორები, საინჟინრო-ტექნიკური და ახალი ტექნოლოგიები (პროგრამების განვითარება, კოდების წერა), მარკეტინგი, პროექტის მენეჯმენტი და სხვა;* მენტორები სამუშაო დღის განმავლობაში მათ ბიზნესგეგმის და პროტოტიპის შემუშავებაში დაეხმარებიან. საგანგებოდ შერჩეულ ექსპერტთა ჯგუფი სემინარის ბოლოს გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს.

სემინარის ხანგრძლივობა: 6 საათი.

მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ, შეავსონ [სააპლიკაციო ფორმა](http://www.creativegeorgia.ge/cg/News/TeamLAB-Georgia.aspx) 2016 წლის 25 ნოემბრამდე. ღონისძიების სანახავად ეწვიეთ ფეისბუკ-გვერდს www.facebook.com/events/362941224043483/

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს <http://creativegeorgia.ge/cg/News/TeamLAB-Georgia.aspx>

საკონტაქტო პირი

ელენე მეჩიტოვა - სემინარის კოორდინატორი

593 224 286 / helen.mechitova@gmail.com